პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2026 წლის -- ნოემბერი

ქ. წყალტუბო

2026-2027 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 4 ნოემბრის N48-482630885 წერილი, რომლითაც ითხოვს **2026-2027 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების განხილვასა და მოწონებას.**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მოწონებულ იქნეს „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის #96 დადგენილების შესაბამისად, 2026-2027 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები წარმოდგენილი დანართის მიხედვით (თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

მოამზადა

მესამე რანგის მესამე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: მაია უგლავა

შეთანხმებულია

აპარატის უფროსის მ/შ: მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე: რევაზ დიდავა

სტიქიის პრევენციის მიზნით 2026-2027 წელს დასაფინანსებელი პროექტები		
N	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	23,400.00
2	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში ნაპირსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოები	125,908.00
3	ქალაქ წყალტუბოში, ბარათაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	95,900.00
4	ქალაქ წყალტუბოში, კლდიაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	31,800.00
5	ქალაქ წყალტუბოში, ლერმონტოვის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	181,000.00
6	ქალაქ წყალტუბოში, მესხის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	183,000.00
7	ქალაქ წყალტუბოში, ნიკოლაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	36,000.00
8	ქალაქ წყალტუბოში, ქუთაისის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	131,800.00
9	ქალაქ წყალტუბოში, ხვამლის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	54,585.00
10	ქალაქ წყალტუბოში, ლერმონტოვის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	31,641.00
11	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	836,364.00
	ჯამი	1,731,398.00

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482630885**
თარიღი: **04/11/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

„სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების ფარგლებში, გიგზავნით 2026–2027 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების ნუსხას (დანართი თან ერთვის).

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები განხილული და მოწონებული უნდა იქნეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ რიგგარეშე სხდომაზე. პროექტები გაეცნობა.

გთხოვთ, განიხილოთ და მოიწონოთ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები.

დანართი: 1 (ერთი) დოკუმენტი (ელექტრონულად).

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი